

N 1-16/12-25

16.12.2025 წ.



ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ, რომ შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ს (ს/კ: 405746340) მიერ დაგეგმილია მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. იაღლუჯას მიმდებარედ, საპროექტო 105.6 მგვტ. დადგმული სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის, 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის და 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

წარმოდგენილი პროექტი განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 3.4. ქვეპუნქტით (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება) გათვალისწინებულ საქმიანობას.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს N 674/ს ბრძანებით შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ს (ს/კ: 405746340) მარნეულის მუნიციპალიტეტში, შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ის 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციის პროექტზე გაიცა სკოპინგის დასკვნა N63.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 და მე-11 მუხლის საფუძველზე, წარმოგიდგინებ შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ს (ს/კ: 405746340) მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. იაღლუჯას მიმდებარედ, საპროექტო 105.6 მგვტ. დადგმული სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის, 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის და 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ გარემოსდაცვითი გადანწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის I ტომი - 1 ეგზემპლარი/ელ. ვერსია;
2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის II ტომი - 1 ეგზემპლარი/ელ. ვერსია;
3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი/ელ. ვერსია;
4. საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია;
5. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ტექნიკური ანგარიში (დანართი 16) - 1 ეგზემპლარი/ელ. ვერსია;
6. საპროექტო ქვესადგურის ტექნიკური ანგარიში (დანართი 17) - 1 ეგზემპლარი/ელ. ვერსია;

7. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში (დანართი 18) - 1 ეგზემპლარი/ელ. ვერსია;
8. საპროექტო მზის ელექტროსადგურის და ქვესადგურის განთავსების ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში (დანართი 19) - 1 ეგზემპლარი/ელ. ვერსია;
9. გარემოზე ზემოქმედების შეფასების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ეგზემპლარი/ელ. ვერსია;
10. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დაჩქარებული წესით მომსახურების განწვევის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი/ქვითარი - 1 ეგზემპლარი/ელ. ვერსია.

პატივისცემით,

შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ს წარმომადგენელი

გიორგი ბიჭიკაშვილი

